ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია
საკონკურსო კომისია

ადრესატი:

იოსები ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

შუშანა ხურციძე
პირველადი სტრუქტურული ერთეული მერიის ადმინისტრაციული სამსახური-მეორადი სტრუქტურული ერთეული ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების განყოფილება-განყოფილების ხელმძღვანელი

მარიამი ბარბაქაძე
პირველადი სტრუქტურული ერთეული მერიის ადმინისტრაციული სამსახური-შრომითი ხელშეკრულებით მომუშავე მოსამსახურე - ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტი

წერილის ნომერი:**44-4421089162**
თარიღი: **30/03/2021**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საკონკურსო კომისიის

თავმჯდომარის ირაკლი გიორგაძის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში არსებულ ვაკანტურ პოზიციებზე კანდიდატთა შერჩევის მიზნით, მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 18 იანვრის №ბ 44.44210185 ბრძანებით შეიქმნა საკონკურსო კომისია, მოხდა თავმჯდომარის დანიშვნა და დებულების დამტკიცება. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის 2021 წლის 20 იანვრის №ბ 44.44210205 ბრძანებით განისაზღვრა კომისიის შემადგენლობა. კომისიის საქმიანობის ორგანიზებისა და მუშაობის ეფექტურად წარმართვის მიზნით შემნილია კომისიის აპარატი.

2021 წლის 21 იანვარს ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციულ შენობაში, რუსთაველის გამზირი №3-ში ჩატარდა საკონკურსო კომისიის პირველი სხდომა. კომისიის საქმიანობის ორგანიზაციულ საკითხებთან ერთად, სხდომაზე განხილულ იქნა საკითხი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში არსებულ ვაკანტურ პოზიციებზე კანდიდატთა შერჩევის მიზნით გამოსაცხადებელი კონკურსის პროგრამის, პირობების, კანდიდატთა შეფასების ფორმისა და გრაფიკის განსაზღვრის შესახებ, რა დროსაც კომისიამ დაადგინა, რომ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში არსებულ ვაკანტურ პოზიციებზე კანდიდატთა შერჩევის მიზნით გამოსაცხადებელი კონკურსის მეორე ეტაპზე კონკურსში მონაწილე პირთა შეფასება მოხდეს ზეპირი დავალების მიცემისა და გასაუბრების გზით.

2021 წლის 18 მარტს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის Nბ 44.44210772 ბრძანებით ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში გამოცხადდა ღია კონკურსი პროფესიულ საჯარო მოხელეთა რიგი ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად, კერძოდ:

ა/. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული

ერთეულის - სოციალური სამსახურის ხელმძღვანელი - 1 (ერთი) ერთეული;

ბ/. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - 1 (ერთი) ერთეული;

გ/. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის საბიუჯეტო დაგეგმვისა და ანალიზის განყოფილების მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - 1 (ერთი) ერთეული;

დ/. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - სოციალურ საკითხთა სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (ბავშვის სოციალური მუშაკი) – 1 (ერთი) ერთეული;

ე/. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - სოციალურ საკითხთა სამსახურის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (სოციალური მუშაკი) – 1 (ერთი) ერთეული;

ვ/. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - სოციალურ საკითხთა სამსახურის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი – 1 (ერთი) ერთეული;

ზ/. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ზედამხედველობის სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - ზედამხედველობის განყოფილების მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი - 1 (ერთი) ერთეული.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 18 მარტის №ბ 44.44210772 ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის პროგრამა /თემატიკა/ განსაზღვრულია დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 07 აგვისტოს N2090 ბრძანებაში მითითებული სამართლებრივი აქტებით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 18 მარტის №ბ 44.44210772 ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის მეორე ეტაპი (ზეპირი დავალების მიცემა და გასაუბრება) გაიმართება 2021 წლის 13 აპრილს 12 : 00 საათიდან.

პატივისცემით,

ირაკლი გიორგაძე

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია-საკონკურსო კომისია-საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე